

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

### ჯაზის ხელოვნება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი - 0805

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ რამიშვილი

#### პროგრამის მიზანი:

ჯაზის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზანია ღრმა ცოდნის საფუძველზე აღზარდოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებული **სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხის მქონე ჯაზის პროფესიონალი შემსრულებელი (ინსტრუმენტალისტი, ვოკალისტი). პროგრამა ითვალისწინებს ჯაზის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პროფესიული უნარ-ჩვევების, სპეციფიური ჯაზური აზროვნების გამომუშავებას, მუსიკალური იმპროვიზაციის ხელოვნების, ანსამბლური მუსიციერების ფორმების დაუფლებას და მუსიკალურ-შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელობის კომპეტენციების ჩამოყალიბებას; ზოგადმუსიკალური და მულტიდისციპლინარული ცოდნის მიცემას პროგრამის ბლოკებში გაერთიანებული სასწავლო კურსების/მიდულების ათვისებისა და დაუფლების გზით. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს სტუდენტის მიერ შერჩეული ალტერნატიული არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკის გავლის შედეგად მომიჯნავე სპეციალობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი შესაძლებელია დასაქმდეს: მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში, შემოქმედებით სტუდიებში, საკონცერტო ესტრადაზე ჯაზური მუსიკის შემსრულებლად - სოლისტად, ანსამბლის წევრად, მუსიკალურ-შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელად. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის და ათვისების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

#### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ჯაზის ხელოვნების პროგრამაზე დაშვებისათვის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურებში (სპეციალობასა და მუსიკის თეორიაში) და ერთიანი ეროვნული გამოცდები.

პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან მხოლოდ შემოქმედებით ტურებს.

### **პროგრამის სტრუქტურა:**

- I. სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 100 კრედიტი
- II. ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 65 კრედიტი
- III. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 35 კრედიტი
- IV. ალტერნატიული არჩევითი კურსების ბლოკი - 40 კრედიტი

### **სწავლის შედეგები:**

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

- კურსდამთავრებულს აქვს საშემსრულებლო ჯაზური ხელოვნების თეორიული და პრაქტიკულ-საშემსრულებლო ასპექტების ცოდნა;
- გაცნობიერებული აქვს სხვადასხვა სტილის და მიმართულების ჯაზური კომპოზიციების შესრულების სპეციფიკა;
- აქვს სხვადასხვა სტილისა და მიმართულების შესაბამისი ჯაზური იმპროვიზაციის თეორიული ცოდნა;
- იცნობს საანსამბლო ჯაზური მუსიკირების ფორმებს;
- აქვს ჯაზური მუსიკალური ხელოვნების ისტორიის და თეორიის ცოდნა;
- აქვს პროფესიული მოღვაწეობის სფეროს შესაბამისი სპეციალური რეპერტუარის ცოდნა;
- აქვს ჯაზური მუსიკალური ხელოვნების თეორიული საფუძვლების, მუსიკალური ენის სტრუქტურისა და ფორმაქმნადობის პრინციპების ცოდნა;
- აქვს მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიის, ჯაზის ხელოვნების ისტორიის, ეროვნული ტრადიციების თავისებურებების, ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების შემოქმედებითი ბიოგრაფიების ცოდნა;
- ჯაზის კოლექტივის ორგანიზების და ხელმძღვანელობის პრინციპების ცოდნა;
- ფლობს მონათესავე საკრავს;
- აქვს მუსიკალური კულტურის, აზროვნების, ჟანრებისა და ფორმების, სტილების ისტორიული განვითარების ცოდნა (უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე);
- აქვს ჰარმონიის, საკრავთმცოდნეობის, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის, სოლფეჯიოს, მუსიკის ისტორიის საკითხების სისტემური ცოდნა;
- ფლობს ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- გააჩნია ზოგადი ცოდნა ჰუმანიტარული საგნების სფეროში;
- აცნობიერებს ჯაზური მუსიკალური ხელოვნების ურთიერთკავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

- კურსდამთავრებულს აქვს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ჯაზური მუსიკის (როგორც სოლო, ასევე ანსამბლური მუსიციერების დროს) მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულების პრაქტიკული უნარები;
- ფლობს ჯაზური იმპროვიზაციის ტექნიკას, სხვადასხვა სტილისა და მიმართულების შესაბამისად;
- აქვს სხვადასხვა სტილის ჯაზური მუსიკალური სტანდარტების (მათ შორის ინტერპრეტაციის რაკურსში) აღქმის და გაანალიზების უნარი;
- შეუძლია შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება ხელმძღვანელის წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით;
- გამომუშავებული აქვს მუსიკალურ ტექსტთან ურთიერთობის სპეციფიური პრაქტიკული უნარ-ჩვევები: ფურცლიდან კითხვა (უცხო ნაწარმოების საკრავზე ან/და ხმით შესრულება), სმენითი ანალიზი;
- აქვს სხვადასხვა სტილის ჯაზური მუსიკის ჟანრულ და ენობრივი თავისებურებებზე მსჯელობის უნარი;
- აქვს მონათესავე საკრავზე (ან საკრავებზე) ნაწარმოებების შესრულების უნარი;
- საშემსრულებლო პრაქტიკაში იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას.;
- აქვს ჯაზ-ბენდის ხელმძღვანელობის პრაქტიკული უნარი.

### **დასკვნის უნარი**

- აქვს როგორც საკუთარი, ასევე ჯაზ-ბენდის საშემსრულებლო მოღვაწეობის დაგეგმვის უნარი;
- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ შესრულებული ჯაზური კომპოზიციის შეფასება;
- აქვს საშემსრულებლო პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი;
- შეუძლია ჯაზურ მუსიკალურ შემსრულებლობასთან დაკავშირებული პრობლემების ამოცნობა, ახალი მონაცემების ანალიზი, რაც გამოხატულია ჯაზური ნაწარმოებების სხვადასხვა საშემსრულებლო ინტერპრეტაციის შეჯერების საფუძველზე ინდივიდუალური კონცეფციის შექმნის უნარში.

### **კომუნიკაციის უნარი**

- გააჩნია მსმენელთან კომუნიკაციის სპეციფიური უნარი (ჯაზური ხელოვნების სფეროში უპირატეს საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს თვით ხელოვნების ენა, მსმენელთან დამყარებული ემოციური უკუკავშირი ჯაზური ნაწარმოების საესტრადო შესრულების დროს);
- აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში მუშაობის და ხელმძღვანელობის უნარი, სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან ) კომუნიკაციის უნარი;
- შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

- ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერითი და ზეპირი მეტყველების სპეციფიკას, აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად;
- ფლობს ინგლისურ ენას პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (IT), მათ შორის საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება;
- შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა;
- ახასიათებს აზროვნების კულტურა, აქვს განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების სისტემატიზაციის, პროგნოზირების უნარი.

### სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიკური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც ჯაზური შემსრულებლობის სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს;
- აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი;
- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- შეუძლია პროფესიული წინსვლის მიზნით ჯაზური ხელოვნების სფეროში სწავლის სამომავლო მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დაგეგმვა;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
- შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საფეხურზე.

### ღირებულებები

- აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე;
- გაცნობიერებული აქვს ჯაზური საანსამბლო მუსიციერების სპეციფიური ღირებულებები, რაც ვლინდება პარტნიორების ურთიერთდახმარებასა და ურთიერთგაგებაში;
- კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა, თავისი საქმიანობის მნიშვნელობა და სათანადო ეთიკური ნორმები;
- ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.
- აქვს როგორც დარგობრივი, ისე ტრანსფერული პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი;
- აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება ჯაზური ხელოვნების დარგისა და შესაბამისი ქვესპეციალობის (ინსტრუმენტალისტი, ვოკალისტი) სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება **ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს**. სპეციალობის ძირითად მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესწავლა საშემსრულებლო-შემოქმედებითი ამოცანების თანდათანობით გართულებას და უწყვეტი სწავლების მეთოდს ეფუძნება.

სწავლების პროცესში გამოიყენება აგრეთვე შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (ღია, კლასის, სოლო კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (საკონცერტო, სარეპეტიციო დარბაზები);
- ჯაზური ხელოვნების დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა;
- წიგნზე, სანოტო და აუდიო მასალაზე მუშაობის მეთოდი;
- სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;
- შემოქმედებითი პროექტებით კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა საესტრადო წარმოდგენებში მონაწილეობა;
- პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური სტრუქტურა

### I. სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 100 კრედიტი

1. სპეციალობის კლასი და პედაგოგიური სემინარები - 60 კრედიტი;  
აქედან: სპეციალობის კლასი - 40 კრედიტი, პედაგოგიური სემინარები - 20 კრედიტი
2. საანსამბლო კლასი და საესტრადო კოლექტივთან მუშაობის პრაქტიკა - 18 კრედიტი
3. არანჭირება - 6 კრედიტი
4. იმპროვიზაციის თეორია და პრაქტიკა - 6 კრედიტი
5. შემოქმედებითი პრაქტიკა - 10 კრედიტი

### II. ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 65 კრედიტი

1. მუსიკის ისტორია - 12 კრედიტი
2. ქართული მუსიკალური ფოლკლორი - 3 კრედიტი
3. მუსიკის თეორია - 38 კრედიტი
4. მეორე ინსტრუმენტი - 12 კრედიტი

### III. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 35 კრედიტი

1. ქართული ენა და მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი
2. ფილოსოფია - 3 კრედიტი
3. ხელოვნების ისტორია - 6 კრედიტი
4. უცხო ენა - 8 კრედიტი
5. IT ტექნოლოგიები - 6 კრედიტი
6. ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა - 3 კრედიტი
7. არტ მენეჯმენტი - 6 კრედიტი

### IV. ალტერნატიული არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი - 40 კრედიტი

ალტერნატიული სასწავლო კურსების ბლოკიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ბლოკი.

#### IV. I. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრედიტი\*

1. სამუსიკო დიდაქტიკის და ინტერპრეტაციის ისტორია - 10 კრედიტი
2. სპეციალობის დისციპლინის სწავლების მეთოდთა - 3 კრედიტი
3. მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდთა - 3 კრედიტი
4. პედაგოგიური პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში - 6 კრედიტი
5. პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - 6 კრედიტი
6. პედაგოგიკის მოდული - 6 კრედიტი
7. ფსიქოლოგიის საფუძვლები - 3 კრედიტი

8. სამუსიკო და ასაკობრივი ფსიქოლოგია - 3 კრედიტი

\* მმსპ -ის არჩევის შემთხვევაში ბაკალავრიატის სტუდენტს ჩაეთვლება სპეციალობის მოდულში შემავალი პედაგოგიური სემინარების 20 კრედიტი.

პედაგოგიკის მოდულიდან (სამუსიკო პედაგოგიკა – 3 კრ; სამუსიკო განათლების სისტემები – 3კრ; თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები – 3 კრ; ზოგადი პედაგოგიკა 3 კრ ) სტუდენტმა უნდა გაიაროს სამუსიკო პედაგოგიკისა და ერთი რომელიმე სასწავლო კურსი (არჩევითი).

IV. II. მუსიკის ტექნოლოგია - 40 კრედიტი

1. ხმის რეჟისურა - 15 კრედიტი
2. ელექტრო-აკუსტიკური მუსიკა - 15 კრედიტი
3. გამოყენებითი მუსიკა (კინო, თეატრი, რეკლამა) - 10 კრედიტი

IV. III. კომპოზიციის საფუძვლები - 40 კრედიტი

1. კომპოზიცია - 31 კრედიტი
2. პარტიტურის კითხვა - 3 კრედიტი
3. გაორკესტრება - 3 კრედიტი
4. საორკესტრო სტილების ისტორია - 3 კრედიტი

IV. IV. საგუნდო დირიჟორობა - 40 კრედიტი

1. დირიჟორობა - 24 კრედიტი
2. საგუნდო კლასი - 16 კრედიტი

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები:**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ჯაზის ხელოვნება“ განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია შემოქმედებითი, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, სადემონსტრაციო მოწყობილობა , ვიდეო, DVD, აუდიო და სხვა ტექნიკური აპარატურა; ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**

კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.